შპს „თვინსს“

25 ივნისი 2024 წ.

ექსპერტიზის დასკვნა

საპროექტო შენობის მომიჯნავე შენობა-ნაგებობებზე შესაძლო ზემოქმედების შესახებ

ობიექტის მისამართი: ქ.თბილისი, დაბა წყნეთი, რუსთაველის №1 ს/კ.01.20.01.065.015

ობიექტის დასახელება: ქ.თბილისი, დაბა წყნეთი, რუსთაველის №1 ს/კ.01.20.01.065.015-ში მდებარე შ.პ.ს „ლუნა 2010“-ის კუთვნილ მიწის ნაკვეთში მრავალფუნქციური კომპლექსი/შენობის ობიექტის მშენებლობა.

ქ.თბილისი, დაბა წყნეთი, რუსთაველის №1 ს/კ.01.20.01.065.015-ში მდებარე შ.პ.ს „ლუნა 2010“-ის კუთვნილ მიწის ნაკვეთში მრავალფუნქციური კომპლექსი/შენობის ობიექტის მშენებლობის მომიჯნავე შენობა-ნაგებობებზე შესაძლო ზემოქმედების მიზნით მოხდა მომიჯნავე შენობა-ნაგებობებზე არსებული მდგომარეობის, პროექტის კონსტრუქციული ნაწილის შესწავლა და კონსტრუქციული გადაწყვეტის ანალიზი.

თბილისი - 2024

შემადგენლობა:

1. გამოკვლევის ჩატარების საფუძველი 2
2. გამოყენებული ლიტერატურა 2
3. გამოსაკვლევად წარდგენილი დოკუმენტაცია 3
4. კვლევითი ნაწილი 3
4.1. საპროექტო შენობის მოკლე აღწერა 3
4.2. მომიჯნავე შენობა-ნაგებობების მოკლე აღწერა 4
4.3 ტექნიკური ექსპერტიზის შედეგები 5
4.3.1 შესავალი 5
4.3.2 საკვლევი რაიონის ბუნებრივი პირობები 5
4.3.3 დასკვნა 6
4.3.4 რეკომენდაციები 7

1. გამოკვლევის ჩატარების საფუძველი

გამოკვლევის საფუძველს წარმოადგენს შ.პ.ს. „ლუნა 2010“ და შ.პ.ს. „თვინს“-ს შორის გაფორმებული ხელშეკრულება.

2. გამოყენებული ლიტერატურა

1. სნ და წ პნ 01.01-09 „სეისმომედეგი მშენებლობა“, 2009 წ;
2. СНиП 2.03.01-84, „ბეტონისა და რკინაბეტონის კონსტრუქციები“, 1985 წ;
3. СНиП II-А.12-69, Часть , Глава 12. Строительство в сейсмических районах;
4. СП 13-102-2003, „შენობის და ნაგებობების მზიდი სამშენებლო კონსტრუქციების გამოკვლევის წესები“;
5. СП 361.1325800 “დამცავი ღონისძიებები მომიჯნავე ობიექტებზე ზემოქმედების ზონაში”

3. გამოსაკვლევად წარმოდგენილი დოკუმენტაცია

- ანაზომი,
- ფოტომასალა,
- არქიტექტურული ნაწილი,
- კონსტრუქციული ნაწილი,

4. კვლევითი ნაწილი

4.1. საპროექტო შენობის მოკლე აღწერა

საპროექტო შენობა: მოცემულ საკადასტრო საზღვარში გვაქვს შვიდსართულიანი, სარდაფით შენობა, მონოლითური რკინაბეტონის კარკასით, შენობის ღერძებს შორის მაქსიმალური მანძილი 6.15 მ, შენობის საძირკველი გვაქვს საძირკვლის ფილის ტიპის, რომლის ჩაღრმავება გვაქვს -3.9- (932.4) სისქით 80 სმ, რომლის ქვემოთ ბეტონის მომზადებაა სისქით 10 სმ, და 100 სმ ქვიშანარევი ღორღი. სარდაფის იატაკის ფილა ემთხვევა საძირკვლის თავის ნიშნულს, ხოლო გადახურვა მონოლითური რკინაბეტონის ფილა სისქით 22 სმ.

4.2. მომიჯნავე შენობა-ნაგებობების მოკლე აღწერა

პროექტირების ნორმების СП 361.1325800 “დამცავი ღონისძიებები მომიჯნავე ობიექტებზე ზემოქმედების ზონაში” მოთხოვნების შესაბამისად გამოკვლეულ იქნა საპროექტო შენობიდან 25 მ-მდე მანძილით დაშორებული შენობა-ნაგებობები (შენობების განლაგება და დაშორებები მოცემულია თანდართულ გრაფიკულ ნაწილში):

შენობა N1 (ს/კ 01.20.01.065.010)

შენობა წარმოადგენს ხუთსართულიანი საცხოვრებელი სახლს.
__ საკვლევ შენობასა და საპროექტო შენობას შორის უახლოესი მანძილი არის 2.5 მ.
__ გაბარიტული ზომები ღერძებში 19,0 X 35,0 მ.
__ გადახურულია რ/ბ მონოლითური ფილით.
__ საძირკველი რ/ბ მონოლითური საძირკველი.
__ კედლები, სამშენებლო წვრილი ბლოკი 390 X 190 X 190 მმ.
__ კედლები შელესილია ცემენტის ხსნარით.
__ საძირკვლის დონე - საპროექტო შენობის საძირკვლისის ზემოთ.
__ შენობის საძირკველბს შორის მანძილი და მათ შორის დონეთა სხვაობით, შეგვიძლია დავასკვნათ რომ ერთი შენობა მეორეზე არ ახდენს გავლენას.

შენობა N2 (ს/კ 01.20.01.065.010)

შენობა წარმოადგენს ორსართულიანი საცხოვრებელი სახლს.
__ საკვლევ შენობასა და შენობა N2-ს შორის უახლოესი მანძილი არის 22 მ.
__ გაბარიტული ზომები 42 X 31,0 მ.
__ გადახურულია რ/ბ მონოლითური ფილით
__ კედლები, სამშენებლო წვრილი ბლოკი 390 X 190 X 190 მმ.
__ კედლები შელესილია ცემენტის ხსნარით.
__ ექსპლუატაციისთვის ვარგისი
__ შენობის საძირკველბს შორის მანძილი და მათ შორის დონეთა სხვაობით, შეგვიძლია დავასკვნათ რომ ერთი შენობა მეორეზე არ ახდენს გავლენას.

4.3. ტექნიკური ექსპერტიზის შედეგები

4.3.1. შესავალი

ჩვენს მიერ მომიჯნავე ობიექტებზე შესაძლო ზემოქმედების დადგენის მიზნით შესწავლილ იქნა, ქ. თბილისი, დაბა წყნეთი, რუსთაველის ქუჩა #1, ს/კ 01.20.01.065.015-ში მდებარე შ.პ.ს. „ლუნა 2010“-ის კუთვნილ მიწის ნაკვეთში შვიდსართულიანი, სარდაფით, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის ობიექტის მშენებლობის საპროექტო დოკუმენტაცია და პროექტირების ნორმების СП 361.1325800 “დამცავი ღონისძიებები მომიჯნავე ობიექტებზე ზემოქმედების ზონაში” მოთხოვნების შესაბამისად გამოკვლეულ იქნა საპროექტო შენობიდან 25 მ-მდე მანძილით დაშორებული.

4.3.2. საკვლევი რაიონის ბუნებრივი პირობები

ადგილმდებარეობა – ქ.თბილისი, დაბა წყნეთი, რუსთაველის ქუჩა #1, ს/კ 01.20.01.065.067

კლიმატური მონაცემები:

რაიონის კლიმატი მშრალი, ზომიერად გრილი, კლიმატური მონაცემები აღებულია რაიონის კლიმატური პირობების შესახებ პნ 01.05-08 (“სამშენებლო კლიმატოლოგია”).

1. ჰაერის აბსოლუტური მინიმალური ტემპერატურა -23^0
2. ჰაერის აბსოლუტური მაქსიმალური ტემპერატურა +40^0
3. ჰაერის საშუალო წლიური ტემპერატურა +3,4^0
4. ჰაერის შეფარდებითი ტენიანობა (საშუალო წლის განმავლობაში) 66%
5. ნალექების რაოდენობა წელიწადში - 560 მმ
6. ნალექების რაოდენობა დღე-ღამეში - 147 მმ
7. ირიბი წვიმების რაოდენობა წელიწადში -- მმ
8. თოვლის საფარის წონა - 0,5 კპა
9. თოვლის საფარის დღეთა რიცხვი - 14
10. ქარის მახასიათებლები, ქარის უდიდესი სიჩქარე შესაძლებელი

წელიწადში ერთხელ	21 მ/წმ
5 წელიწადში ერთხელ	24 მ/წმ
10 წელიწადში ერთხელ	26 მ/წმ
15 წელიწადში ერთხელ	27 მ/წმ
20 წელიწადში ერთხელ	28 მ/წმ

11. ქარის წნევის ნორმატიული მნიშვნელობა:

5 წელიწადში ერთხელ	0.38 კპა
15 წელიწადში ერთხელ	0.48 კპა

12. გრუნტების სეზონური გაყინვის ნორმატიული სიღრმე ყველა სახის გრუნტებისთვის 0 სმ.

უბნის სეისმურობად **პნ 01.01.09 “სეისმომედეგი მშენებლობა“-ის** თანახმად მიღებულ იქნას 8 ბალი. სეისმურობის უგანზომილებო კოეფიციენტი A=0.17.

4.3.3. დასკვნა

ქ.თბილისი, დაბა წყნეთი, რუსთაველის ქუჩა #1, ს/კ 01.20.01.065.067 მდებარე შ.პ.ს. „ლუნა 2010“-ის კუთვნილ მიწის ნაკვეთში შვიდსართულიანი, სარდაფით, ობიექტის შენობის საპროექტო დოკუმენტაციის, საპროექტო შენობიდან 25 მ-მდე მანძილით დაშორებული შენობა-ნაგებობების გამოკვლევის, ასევე ვიზუალური და ინსტრუმენტულ-ლაბორატორიული გამოკვლევით დადგინდა შემდეგი:

საპროექტო შენობა შვიდსართულიანია (სარდაფით),მონოლითური რკინაბეტონის კარკასით, კედლები სამშენებლო წვრილი ბლოკი 390 X 190 X 190 მმ. საძირკველი რკინაბეტონის ერთიანი ფილის ტიპის, სისქით 80 სმ, სარდაფის იატაკის ფილა ემთხვევა საძირკვლის თავის ნიშნულს, გადახურვა მონოლითური რკინაბეტონის ფილა სისქით 22 სმ.

საპროექტო შენობის საძირკველსა და არსებულ შენობა ნაგებობათა საძირკვლებს შორის მანძილით და ჩაღრმავებით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ საპროექტო შენობის საძირკველი არსებულ შენობებზე ზეგავლენას არ მოახდენს.

აღნიშნული შენობის მშენებლობის საპროექტო დოკუმენტაციის კონსტრუქციულ ნაწილში მიღებული გადაწყვეტილებები მისაღებია და შესაბამისობაშია მოქმედ სამშენებლო ნორმებსა და წესებთან. მშენებლობა განხორციელდეს კონსტრუქციული ნახაზებისა და სეისმურ ზემოქმედებაზე ანგარიშის მიხედვით საქართველოში მოქმედი სამშენებლო ნორმებისა და წესების მოთხოვნების სრული დაცვით.

საპროექტო შენობის საძირკველი არსებულ **სატრასპორტო/საგზაო ინფრასტრუქტურაზე**, მათ შორის მანძილის და დონეთა სხვაობის გათვალისწინებით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ საპროექტო შენობა არსებულ სატრანსპორტო/საგზაო ინფრასტრუქტურაზე ზეგავლენას არ მოახდენს.

4.3.4. რეკომენდაციები

1. შენობის მიწისქვეშა ზედაპირები გრუნტთან კონტაქტის ადგილებში დამუშავდეს შესაგოზი ჰიდროიზოლაციით (ბიტულინის მასტიკა ან ანალოგები).
2. სამუშაოების ჩატარებისას აღმოჩენილი უხილავი გაუთვალისწინებელი გარემოების აღმოცენისას ან განსხვავებული კონსტრუქციული გადაწყვეტების მისაღებად დაუყოვნებლივ მიმართეთ (შეათანხმეთ) ექსპერტსა და კონსტრუქტორს.

კონსტრუქტორი : ო. ჩხიკვაძე